მუხლი **52.**
უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, მათ შორის -კლინიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შეფასება;

ე) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება.

2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები, წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი საბუთები: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი _ ატესტატი; კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური სემესტრული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

$გ^1$). უცხოელი სტუდენტი ვალდებულია ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში (რეგისტრაციის ვადაში) წარმოადგინოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. (N23/8. 24.12. 2012წ.)

$გ^2$). ,,$გ^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელი სტუდენტი ვერ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას. (N23/8. 24.12. 2012წ.)

დ) ერთი თვის ვადაში აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;

ე) დაიცვას ეთიკის კოდექსი;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.